დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - ქალაქ ტყიბულის N2 საჯრო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამთა კობახიძე

წევრები:

მირანდა იაკობიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ირმა თოდიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტი

თეონა შერაზადიშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ვარდო გოგილავა - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ნინო კაპანაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

მაია ჩაჩხიანი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ხათუნა მარკოზაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

მაკა ნატროშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნინო ზირაქაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

გიოგი კოპლატაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ ტყიბულის N2 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	219634849

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალქი ტყიბული
იურიდიული მისამართი	ქ. ტყიბული, ნინოშვილი ქუჩა N2
ფაქტობრივი მისამართი	ქ. ტყიბული, ნინოშვილი ქუჩა N2
საფოსტო ინდექსი	4300
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	-
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tkibuli2@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577 38 98 70

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	923274
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	25.07.2.23

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ქ. ტყიბული, ნინოშვილის ქუჩა N2
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ქ. ტყიბული, ნინოშვილის ქუჩა N2

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ქ. ტყიბული, ნინოშვილის ქუჩა N2

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: -150-	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილი შესაბამისობა

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილი შესაბამისობა

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილი შესაბამისობა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობ* *რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N...		.....
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობ* *რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობ* *რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისა და შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლამ სტრატეგიული გეგმის საბოლოო შემუშავება და დამტკიცება უნდა უზრუნველყოს დეკემბრის ბოლომდე (20.12.2023).
1.2.1.3.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისა და შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლამ სტრატეგიული გეგმის საბოლოო შემუშავება და დამტკიცება უნდა უზრუნველყოს დეკემბრის ბოლომდე (20.12.2023).
1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისა და შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლამ სტრატეგიული გეგმის საბოლოო შემუშავება და დამტკიცება უნდა უზრუნველყოს დეკემბრის ბოლომდე (20.12.2023).
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა,	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში	ვიზიტის პერიოდში სკოლას მიმართული ჰქონდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრისათვის (112) საგანგებო სიტუაციებში რეაგირების გეგმის შესათანხმებლად, თუმცა პროცესი არ იყო დასრულებული.

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

	რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	მიუხედავად იმისა, რომ სკოლას გააჩნია საევაკუაციო გეგმა,არ არსებობს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ. სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის თანახმად, პროცესი უნდა დასრულდეს 2024 წლის მაისის ბოლოს (31.05.2024).
3.6.3.1.	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	სკოლას გააჩნია მოქმედი ვებგვერდი, თუმცა ის არ იძლევა საზოგადოების ინფორმირებისა და მასთან კომუნიკაციის საშუალებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის თანახმად პროცესი უნდა დასრულდეს მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე (15.06.2024).
3.6.3.4	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	სკოლას გააჩნია მოქმედი ვებგვერდი, თუმცა მასზე არ არის განთავსებული სათანადო ინფორმაცია. სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის თანახმად პროცესი უნდა დასრულდეს მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე (15.06.2024).
3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	სკოლის ვებგვერდი არ მოიცავს სტანდარტით გათვალისწინებულ ინფორმაციის ჩამონათვალს. სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის თანახმად პროცესი უნდა დასრულდეს მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე (15.06.2024).

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....
2.2.2.5.	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	სკოლას არ გააჩნია შეფასების სისტემის ვერიფიკაციი ფორმალიზებული მექანიზმი ზოგადი განათლებ დაწყებით საფეხურზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმ თანახმად, დოკუმენტის შემუშავება უნდა მოხდეს 2023 წლ დეკემბრის ბოლომდე (29.12.2023).

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხური)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....
2.2.2.5.	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	სკოლას არ გააჩნია შეფასების სისტემის ვერიფიკაციი ფორმალიზებული მექანიზმი ზოგადი განათლების საბაზ საფეხურზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმ თანახმად, დოკუმენტის შემუშავება უნდა მოხდეს 2023 წლ დეკემბრის ბოლომდე (29.12.2023).

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხური)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....
2.2.2.5.	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	სკოლას არ გააჩნია შეფასების სისტემის ვერიფიკაციი ფორმალიზებული მექანიზმი ზოგადი განათლებ საშუალო საფეხურზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმ თანახმად, დოკუმენტის შემუშავება უნდა მოხდეს 2023 წლ დეკემბრის ბოლომდე (29.12.2023).

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		.....
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სასურველია სკოლას ყავდეს შრომის უსაფრთხოებ სერტიფიცირებული სპეციალისტი.

3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას	სასურველია სკოლამ გაწეროს მოსწავლეზე ძალადობი იდენტიფიცირებისა და მასზე რეაგირების მექანიზმი.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N4.1.2.2.3.	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.	სკოლას ჯერჯერობით არ აქვს პროფესიული ორიენტაციი კუთხით გაწეული მომსახურების შეფასების მექანიზმები დ კრიტერიუმები, თუმცა არსებობს მზაობა აღნიშნული განხორციელების. სასურველია შემუშავდეს გაწეულ მომსახურების შეფასების მექანიზმი პროცესის გაუმჯობესები მიზნით.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....
ინდიკატორი 2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმებ წარმოადგენს მოსწავლეზ ორიენტირებული პროცესის დაგეგმვი და განვითარების გზას*	სახელმწიფო ენის კათედრამ შეავსოს კურიკულუმის ჩარჩო მ 7 , მე-8 და მე-10 კლასებისათვის. ინგლისურ ენაში სკოლამ შეიმუშაოს საშუალო საფეხურზ ყველა კლასისთვის საჭირო კურიკულუმები.
ინდიკატორი:2.1.2.2	*კურიკულუმები მიემართება სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადი მიზნებს,(გლობალური ფუნქციურ უნარები ,6 უნარი)მაკრო ცნებებ სამიზნე ცნებები და შედეგები.*	ტექნოლოგიები: ა)სასურველია, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდ კურიკულუმით აისახოს საფეხურის ფარგლებშ განსაზღვრელი თემები და სამიზნე ცნებები საგნ სტანდარტის შესაბამისად და მოხდეს მათი ასახ კომპლექსურ დავალებებში; ბ)სასურელია საფეხურის ფარგლებში დაგეგმილ კომპლექსური დავალებებით დაიფაროს არა მხოლოდ სამიზ

		მიმართულება და ყველა სამიზნე ცნება, არამედ ყველ საკითხი თემატური ჩარჩოდან; გ)სასურველია თითოეულ კლასში წარმოდგენილი ორ კომპლექსური დავალება არ მიემართებოდეს ერთსა და იმა საკითხს;

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია, გაიზიარა მისი მოსაზრებები და შესაბამისობის გეგმის მიხედვით სტანდარტის დაკმაყოფილების საკითხები ასახა შეფასების ნაწილში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გააჩნია მისია და ხედვა, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. ვიზიტის პერიოდში, ინტერვიურებისას დადასტურდა, რომ მისიისა და ხედვის გადამუშავებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სასკოლო საზოგადოება. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის ნაწილს, თუმცა გამომდინარე იქედან, რომ სტრატეგიული გეგმა დამუშავების ეტაპზე იყო და ვიზიტის პერიოდში არ იყო დამტკიცებული, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. ინტერვიურებისას დადასტურდა, რომ სასკოლო საზოგადოება სკოლას აღიქვამს მსგავს კონტექსტში, თუმცა საჭიროა დამუშავებული მისსისა და ხედვის დამტკიცება ფორმალუ დონეზეც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ვიზიტის პერიოდში, სკოლის პედაგოგებსა და სხვა პერსონალთან ინტერვურებისას დადასტურდა, რომ ისინი ჩართული იყვნენ მისიისა და ხედვის შემუშავების პროცესში და იზირებენ მასში მოცემულ დებულებებს. სკოლამ ასევე წარმოადგინა სკოლის ფილოსოფიის რევიზიის გეგმა, რომელიც მოიცავს ერთწლიან მონიტორინგის მექანიზმებს, გაწერილს პასუხისმგებელი პირებით, რაც კიდევ უფრო ზრდის პროცესში მათი ჩართულობის მაჩვენებელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ვიზიტის პერიოდში, სკოლის პედაგოგებსა და სხვა პერსონალთან ინტერვურებისას დადასტურდა, რომ ისინი ჩართული იყვნენ მისიისა და ხედვის შემუშავების პროცესში და იზირებენ მასში მოცემულ დებულებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლას არ გააჩნია ფუნქციური, მოქმდი ვებგვერდი და გამომდინარე იქედან, რომ მისიისა და ხედვის დამტკიცების ფორმალური ნაწილი დასასრულებელია, შესაბამისად ინფორმაცია ვიზიტის პერიოდში არ იყო საჯაროდ გაზიარებული, თუმცა სკოლაში არსებობს მზაობა იმისა, რომ ფორმალური პროცესების დასრულების შემდეგ ხედვა და მისია საჯაროდ იქნება გაზიარებული. ამასთანავე სკოლას გაზიარების სხვა ინსტრუმენტები ჰქონდა გამოყენებული, მაგ: საინფორმაციო დაფა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის მისიისა და ხედვის დოკუმენტი;*
- *სტრატეგიული გეგმის პროექტი;*
- *სკოლის ფილოსოფიის რევიზიის დოკუმენტი.*

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მეთოოლოგიის შემუშავების მიზნით სკოლას დირექტორის 22 ივნისის N2 – 49 ბრძანების შესაბამისად დატკიცებული აქვს სამუშაო ჯგუფი, რომელიც ვალდებულია შეიმუშავოს სათანადო დოკუმენტი. ვიზიტის ეტაპზე მეთოდოლოგიის დოკუმენტი არ იყო წარმოდგენი, თუმცა დასტურდება სკოლის მზაობა სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშავოს მეთოდოლოგია და შესაბამისად განსაზღვროს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები და ინტერესები. აღსანიშნავია, რომ სკოლის ფილოსოფიის რევიზიის გეგმა წარმოადგენდა ნაზავ დოკუმენტს, სადაც მონიტორინგის გარდა ასევე სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიაზე იყო საუბარი. ამ შემთხვევაში აუცილებელია სწორად განისაზღვროს დოკუმენტის დასახელება და მიზანი.ასევე მასში სრულად იყოს ასახული სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები, ინტერესები, სტრატეგიული დაგეგმვის საკითხები, მონიტოგინდისა და შეფასების სისტემა, გეგმის შემუშავების პროცესები და პროცედურები. შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის განახლებული დოკუმენტი, რომელიც იძლევა სრულ ინფორმაციას სტრატეგიული დაგეგმვის მიდგომებს, პროცესებსა და პროცედურების შესახებ. აქედან გამომდინარე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ვიზიტის ეტაოზე სკოლას დამტკიცებული, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა არ წარმოუდგენია. ვიზიტის დროს დადასტურდა მუშა პროცესი, რომელიც მიზნად ისახავდა სტრატეგიული გეგმის შემუშავებას. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული გეგმის პროექტი, რომელიც არის შვიდწლიანი, ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებ, მოიცავს მიზნებსა და ამოცანებს. სკოლას მიეცა რეკომენდაცია გეგმა მოსულიყო მეთოდოლოოგით განსაზღვრულ ფორმასთან შესაბამისობაში. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისა და შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლამ სტრატეგიული გეგმის საბოლოო შემუშავება და დამტკიცება უნდა უზრუნველყოს დეკემბრის ბოლომდე (20.12.2023), შესაბამისად **ინდიკატორი მეტწილადაა დაკმყაოფილებული.**

3. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა სათაურით „ერთწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა“, რომელიც მოიცავდა მისიასთან თავსებად აქტივობების, მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირებისა და ვადების ჩამონათვალს. თუმცა სტრატეგიული განვითარების გეგმა არ იყო დამტკიცებული და წარმოდგენილი იყო პროექტი. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისა და შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლამ სტრატეგიული გეგმის საბოლოო შემუშავება და დამტკიცება უნდა უზრუნველყოს დეკემბრის ბოლომდე (20.12.2023), შესაბამისად **ინდიკატორი მეტწილადაა დაკმყოფილებული.**

4. ვიზიტის ეტაპზე წარმოადგინლი სამოქმედო გეგმა მოიცავდა აქტივობებს, პასუხისგებელ პირებისა და ვადების ჩამონათვალს. გეგმას თან არ ახლდა შესრულების გაზომვადი ინდიკატორები. მონიტორინგის გარკვეული მექანიზმი წარმოდგენილი იყო სკოლის ფილოსოფიის რევიზიის დოკუმენტში, რომელიც ნაწილობრივ ფარავდა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების ჩამონათვალს, თუმცა პროცესის სრულყოფისათვის აუცილებელია სამოქმედო გეგმის ძირითადი დოკუმენტი თავად შეიცავდეს შესრულების ინდიკატორებს. თუმცა, რადგან სტრატეგიული გეგმა დამტკიცებული არ არის, შესაბამისად ვერ დგინდება რომ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და სტანდარტით გათვალისწინებული სხვა აქტივობების შესრულება. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისა და შესაბამისობის

გეგმის თანახმად, სკოლამ სტრატეგიული გეგმის საბოლოო შემუშავება და დამტკიცება უნდა უზრუნველყოს დეკემბრის ბოლომდე (20.12.2023), შესაბამისად **ინდიკატორი მეტწილადაა დაკმყაოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლას დირექტორის 22 ივნისის N2 – 49 ბრძანება;
- სტრატეგიული გეგმის პროექტი;
- სკოლის ფილოსოფიის რევიზიის დოკუმენტი;
- ერთწლიანი სტრატეგიული გეგმის დოკუმენტი.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის ნაწილი გაერთიანებულია სკოლის ფილოსოფიის რევიზიის დოკუემნტში და მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. აღწერილია მტკიცებულებების შეგროვების ფორმები და მეთოდები, თუმცა აღწერილია იმ ფორმატში რა როგორ უნდა მოხდეს და არა მტკიცებით რეჟიმში - რას განახორციელებს სკოლა. არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის თანახმად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. ინტერვიურების დროს დადასტურდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სამოქმედო გეგმის რევიზიის პროცესში. სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა უკუკავშირი მშობლებისგანაც. თუმცა, რადგან მონიტორინგის დოკუმენტი ახალია, ყველა მასში აღწერილი ინდიკატორების მიხედვით გეგმის რევიზია მომავლისა საკითხია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის სამოქმედო გეგმა შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და გაზიარებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ. თუმცა სკოლას ვიზიტის პერიოდში არ წარმოუდგენია შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების დამტმიცებული გეგმა. დაწესებულებაში არსებობს მზაობა დოკუმენტის სრულყოფის შემთხვევაში გაზიარდეს საჯაროდ. ინდიკატორი არ ფასდება პირველადი ავტორიზაციის დროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. მეთოდოლოგიური ნაწილის თანახვად, სტრატეგიული გეგმის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ინტერვიურების პროცესში დადასტურდა საჭიროებების გამოვლენის, მასზე დაფუძნებით მიღებული გადაწყვეტილებებისა და შედეგების შეფასების არაფორმალური პრაქტიკა. სკოლაში არსებობს მზაობა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოყენებულ იქნას სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლას დირექტორის 22 ივნისის N2 – 49 ბრძანება;
- სტრატეგიული გეგმის პროექტი;
- სკოლის ფილოსოფიის რევიზიის დოკუმენტი;
- ერთწლიანი სტრატეგიული გეგმის დოკუმენტი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტრული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა გაწერილი სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტაციისა და ხელშეკრულებების საფუძველზე. სკოლის სტრუქტურა მოიცავს კანონმდებლობით დადგენილ სტრუქტურულ ერთეულებს. ორგანიზაციაში მოქმედი სტრუქტურული ერთებულების/ჯგუფების თუ სხვა ორგანოების შექმნა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლის მართვის პრინციპები ეფუძნება თანამშრომლობით პრონციპს. ინტერვიურებისას დადასტურდა, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა მიმდინარეობს შეუხერფებლად, რაც ჯანსაღი ორგანიზაციული კლიმატის დადასტურებაა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- სტრატეგიული გეგმის პროექტი;
- სკოლის ფილოსოფიის რევიზიის დოკუმენტი;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. ყველა თანამშრომელთან კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებაა გაფორმებული, სადაც გაწერილია მათი ფუნქცია-მოვალეობები. გარდა ამისა, ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ახერხებს პერსონალის მართვას ეფექტურად. დასახელდა კონკრეტული პრაქტიკები, მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც დროის გარკვეულ მონაკვეთში (კოვიდპანდემია) პერსონალის ეფექტრუ მართვას უკავშირდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. დაწესებულებას გააჩნია „ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები“ რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 22 ივნისის #2-50 ბრძანებით. დოკუემენტით განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის მიზნები, ამოცანები და ზოგადი სტრატეგია. პროფესიული განვითარების საკითხები და ზოგადი დებულებები. ინტერვიურების შედეგად დადასტურდა, რომ დოკუმენტში აღწერილი მიდგომები დაწესებულებაში გამოიყენება პრაქტიკულად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლაში არსებული დოკუმენტაცია და გამოცდილება იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში ხდება მისი საჯაროობის უზრუნველყოფა, კომისიის შექმნა და კონკურსის სათანადო წესით ჩატარება. საკონკურსო კომისიასთან ერთად იქმნება სააპელაციო კომისია, თუმცა მისი პრაქტიკული ფუნქციონირების მაგალითი სკოლაში არ არის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. რეგიონის სპეციფიკისა და სკოლის მცირეკონტიგენტიანობის გათვალისწინებით იქმნება გარკვეული საჭიროებები, რაც გულისხმობს სათანადო კვალიფიკაციის კადრების მოძიებისა და დამაგრების პრობლემას. მაგალითად, ტექნოლოგიების მიმართულებით გამოცხადებულ ვაკანსიაზე არც ერთი განაცხადი არ დაფიქსირდა, შესაბამისად აღნიშნული საგანი შეთავსებული აქვს ინგლისური ენის მასწვლებელს. ყველა ძირითად შემთხვევაში მასწავლებელთა და პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამდება დაკავებულ თანამდებობებს, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. ვიზიტის დროს პედაგოგებთან და სკოლის პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუები იძლევა საფუძლევს დავასკვნათ, რომ სკოლაში არსებული პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
6. ინტერვიურებისა და დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღაირების მექანიზმი. სასკოლო კათედრების თანამშრომლობის მასალები ადასტურებს გამოცდილების გაზიარებისა და აღიარების პრიპნციების არსებობას დაწესებულებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2023 წლის 22 ივნისის #2-50 ბრძანება;
- პერსონალის პირადი საქმეები;

- პერსონალის ხელშეკრულებები;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები“ რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 22 ივნისის #2-50 ბრძანებით განსაზღვრავს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათ დადგენის მექანიზმებს, კერძოდ, საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგს, ურთერთდასწრებას, მოსწავლეთა პროგრესის ანალიზს. შემდგომ ამისა, მონაცეები ერთიანდება საერთო ანგარიშში, რომლის საფუძველზეც ხდება გადაწყვეტილებების მიღება პროფესიული განვითარების თვალსაზრისით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლას განსაზღვრული აქვს გამოვლენის საჭიროებებზე დაყრდნობით პერსონალის განვითარების ეტაპები, რომელიც მოიცავს საჭიროების იდენტიფიცირებას, სათანადო რეაგირებას, სხავდასხვა აქტივობაში მონაწილე გუნდის განსაზღვრასა და მასწავლებელთა პროფესიული უნარების შეფასებას. ინტერვიურებით დადგინდა, რომ დამტკიცების შემდეგ სკოლის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში მთავარ კომპონენტად აისახება პროფესიული განვითარების ნაწილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში დასაქმებული ყველა პედაგოგი ჩართულია „პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის“ სქემაში, ასევე ესწრებიან სხვადასხვა სახის პროფესიული განვითარების ღონისძიებებს, რაც დასტურდება მათ პირად საქმეებში წარმოდგენილი სერტიფიკატებითა და ინტერვიურებით. მასწავლებლები ტრენინგებს გადიან არამხოლოდ საგნობრივი, არამედ ზოგადი კომპეტენციების თვალსაზრისით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში ინტერვიურების საფუძელზე დადგინდა, რომ სასკოლო გარემო იძლევა მასწავლებლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის შესაძლებლობას. მრავალფეროვანი ღონისძიებები, კათედრებს შორის თანამშრომლობის დამდასტურებელი მასალები, ინტერვიურება და სკოლის მიერ გამოყენებული წახალისების სხავდასხვა ფორმები ადასტურებს ზემოაღნიშნულს. გარემოსთან ინტეგრაციის მექანიზმი ცალკე დოკუმენტად ან დოკუმენტის ნაწილად არ არის, თუმცა სიტუაციის ზოგადი შესწავლით შეიძლება დავასკვნათ, რომ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა არის მცირეკონტიგენტიანი, შესაბამისად მისი ბიუჯეტი არ იძლება იმის საშუალებას ფინანუსური რესურსით წაახალისოს პედაგოგთა ინციიატივები პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, სხვა მხრივ, ისეთი ინიციატივები რომლებიც არ საჭიროებენ ფინანსურ უზრუნველყოფას სკოლის მხრიდან, წახალისებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2023 წლის 22 ივნისის #2-50 ბრძანება;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- პერსონალის ხელშეკრულებები;
- კათედრის პორტფოლიოები;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ვიზიტის პერიოდში არსებული დოკუმენტაციის ანალიზისა და ინტერვიურების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას, თუმცა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის ეტაპები დასახვეწია. დაგეგმე, იმოქმედე, შეაფასე, განავითარე - ციკლის ნაწილში სკოლაში მიმდინარეობს მუშაობა შეფასებისა და მასი აღმწერი დოკუმენტების შექმნასთან დაკავშირებით. სკოლას ჰყავს დირექტორის 2020 წლის 30 ნოემბრის #2-90 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლებსაც ევალებათ მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის პროფესების განოხრციელება, დაკვირვება, შეფასება და უკუკავშირის მიცემა. სკოლას ასევე აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს სკოლის ხედვას დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პორცესების წარმართვის შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში გამოკვეთილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და მმართველობითი დამხმარე პროცესები. შინაგანაწესსა და სხვა დამხმარე დოკუმენტებში ასახულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დამხმარე პროცესები. ვიზიტის ეტაპზე ინტერვიურება იძლეოდა იმის საფუძველს, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების შემდეგ ამ დოკუმენტში თავმოყრილი იქნებოდა საგანმანათლებლო პროცესთან და სწავლებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები. არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. სკოლის შინაგანაწესი სხვა საკითხებთან ერთად არეგულირებს გადაწყვეტილებების მიღებისა და გასაჩივრების წესებს. არსებობს დისციპლინური კომიტეტი, თუმცა ფუნქციურად მისი საქმიანობის აუცილებლობა არ დასტურდება პრაქტიკით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი პერსონალისა და მშობლის უფლებების დაცვის მექანიზმი. როგორც მშობლები, ასევე მოსწავლეები დამრიგებლების მეშვეობით ინფორმირებული არიან თავიანთ უფლებების შესახებ. სკოლაში არსებული სხვადასხვა რგოლები (დიცსიპლინური კომიტეტი, სამეურვეო საბჭო) ფუნქციონირებენ კანონმდებლობის დაცვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანწესი;
- დიციპლინური კომიტეტის შექმნის ბრძანება;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის დირექტორის ბრძანება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერიწ ჯგუფის დებულება.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სხვადასხვა პლატფორმა, რომელსაც იყენებს სასკოლო საზოგადოებასა და მშობლებთან ურთიერთბისათის, ინდივიდუალური საუბრების, დამრიგებლების მუშაობა, სოციალური ქსელი, თიმსის პლატფორმები გამოყენებულია ინფორმაციის

გავრცელებისა და უკუკავშირის მისაღებად. ინტერვიურების დროს დადასტურდა, რომ მსგავსი პრაქტიკა ნამდვილად არსებობს დაწესებულებაში. დოკუმენტურად, ცალკე მექანიზმი გაწერილი არ არის, თუმცა საინფორმაციო დაფა, სკოლაში მშობლის ვიზიტისათვის გამოყოფილი დღე და სხვა ზემოთაღნიშნული ადასტურებს, რომ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სასკოლო საზოგადოება უზრუნველყოგილია სასკოლო ცხოვრებასა და მართვის კოლეგიურ ორგანოებში კანონით გათვალისწინებული უფლებებითა და ჩართულობით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- საინფორმაციო დაფა;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საკუთარ ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, კერძოდ, სკოლაში არსებობს უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, ფუნქციონრებს რეფერირების მექანიზმი. სკოლას ასევე აქვს პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი - სამედიცინო კაბინეტი და ექთანი ექთნის კაბინები და აღჭურვილობა შეესაბამებოდა დადგენილ რეგულაციებს, სკოლამ ვიზიტის დროს აღნიშნა, რომ ექიმის ვაკანსიაზე გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი (რაც ასევე დასტურდება), თუმცა უშედეგოდ, შესაბამისად აღნიშნულ პოზიციაზე მოხდა ექთნის კვალიფიკაციის მქონე კანდიდატის შერჩევა. ვიზიტის პერიოდში სკოლას მიმართული ჰქონდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრისათვის (112) საგანგებო სიტუაციებში რეაგირების გეგმის შესათანხმებლად, თუმცა პროცესი არ იყო დასრულებული. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას გააჩნია საევაკუაციო გეგმა,არ არსებობს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და მდგრადობის შესახებ. სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სეტიფიცირებული სპეციალისტი. სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის თანახმად, პროცესი უნდა დასრულდეს 2024 წლის მაისის ბოლოს (31.05.2024). შესაბამისად, **სტანდარტი მეტწილადაა დაკმაყოფილებული.**
2. სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, არსებობს მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. სკოლა ა.შ. სკოლა მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების საშუალებით აწვდის ინფორმაციას განთავსებული პირების/უწყებების ნომრების, ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლაში არ მუშაობს მანდატურის სამსახური, შესაბამისად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნაზე ზრუნავენ მასწავლებლები და დამრიგებლები. სასურველია სკოლამ გაწეროს მოსწავლეზე ძალადობის იდენტიფიცირებისა და მასზე რეაგირების მექანიზმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, თუმცა სანიტარულ- ჰიგიენურ ნორმების დაცვასთან დაკავშირებული კონკრეტული მექანიზმი გაწერილი არ არის. სკოლაში არის ექთანი და მის ფუნქცია-მოვალეობებით შეილება დადასტურდეს აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობა სტანდარტის მოთხოვნებთან. სკოლაში არსებობს დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირები სათანადო ფუნქცია-მოვალეობებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. დაწესებულებაში გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი (საქმისმწარმოებელი). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. პერსონალური ინფორმაციის კონფიდენციალურობა ევალება პერსონალური ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და ასევე ყველა თანამშრომელს. ფიზკური თვალსაზრისით სკოლას დაცული აქვს ყველა ის დოკუმენტი რომელიც შეიძლება მოიცავდეს

პერსონალურ ინფორმაციას და მასზე წვდომა აქვს მხოლოდ პასუხისმგებელი პირს (ა ან მისი თანდასწრებით დამრიგებელს) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლაში ვიზიტის პერიოდში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებისა ამსახველი ფორმალური დოკუმენტაცია და ანალიზი არ დაფიქსირებულა. თუმცა სკოლაში არსებობს ფინანურის დამატერიალური რესურსების პერიოდული აღწერა-შეფასები პრაქტიკა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს;
- საევაკუაციო გეგმა;
- ხელშეკრულებები;
- პერსონალურ ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა წარმოადგენს „ათასწლეულის გამოწვევის ფონდის“ მიერ რეაბილიტირებულ დაწესებულებას, შესაბამისად მისი ინფრასტრუქტურა, მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით სასწავლო პროცესის განხორციელებას. სკოლა აღჭურვილია გათბობის სისტემით, სათანადო ინვენტარით, ლაბორატორიებით, უწყვეტი ელექტროენერგიის წყაროებითა და წლის მიწოდებით. სველი წერტილები განთავსებულია ყველა სართულზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სასკოლო ინფრასტრუქტუა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო სივრცეები და საკონფერენციო ოთახით სარგებლობა შეუძლია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე საზოგადოების წევრებისათვის. მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილები და სხვა ის მახასიათებელები დაცულია, რაც ფიზიკური ინკლუზიური გარემოს შესაქმნელადაა აუცილებელი. მასწავლებელთა საქმიანობით ასევე დგინდება, რომ ისინი იყენებენ ინკლუზიური სწავლების პრინციპებს, მუშაობენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე სპეც. მასწავლების ჩართულობით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან. რაც დასტურდება განხორციელებული პროექტებითა და აქტივობებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლა სრულიად აღჭურვილია კურიკულუმით განსაზღვრული ყველა რესურსით, მათ შორის თანამედროვე ლაბორატორებით, კომპიურეტული ტექნიკით, პროექტორებით, გრიფირებული სახელმძღვანელოებითა და საბიბლიოთეკო ფონდით, და სხვა სასწავლო და საინფორმაციო რესურსებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- რესურსების ფლობის ამსახველი მასალები;
- კურკულუმები;
- შენობის ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიები უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის განხორციელების საშუალებას. დაწყებითი საფეხურის ყველა მოსწავლე და მასწავლებელი აღჭურვილია კომპიუტერით. გარდა ამისა, ზოგად სარგებლობაშია 6 პროექტორი, ლეპტოები და სხვა ტექნიკა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია სკოლის ყველა წარმომადგენილისათვის, მათ შორის არამხოლოდ კომიუტერები, არამედ სხვა ტექნიკა (პრინტერი, ქსეორქსის აპარატი).**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამდაასტურებელი დოკუმენტაცია;

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონდმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი, რომელიც უზრუნველყოფს მიღებული, გასული და/ან შიდა დოკუმენტაციის აღწერასა და კანონმდებლობის წესით დამუშავებას. დოკუმენტები მუშავდება როგორც მატერიალური, ისევე ელექტრონული სახით. **ინდიკატორი დამკაყოფილებულია.**

2. სკოლაში ფუნქციონირებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (EFLOW) , რომელიც სათანადო წესით არეგისტრირებს შემოსულ და გასულ კორესპინდენციებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. შეყვანილია ყველა თანამშრომლისა და სხვა პირების მონაცემები, რომელიც მუდმივად განახლებადია. სისტემაში ხორციელდება განრიგის შექმნა, კლასებისა და საგნების განაწილება, სამეურვეო საბჭოს შესახებ მონაცემები და სხვ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- Eschool - ბაზა;
- EFLOW;
- დოკუმენტბრუნვის ამსახველი მატერიალური ჟურნალები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება
2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლოპროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
სხვადასხვა საგნის კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან შეგვიძლია ვიმსჯელოთ ,რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შემოქმედებით პროცესში .სასწავლო პროცესში მოსწავლის ჩართულობის მიზნით გამოყენებულია მრავალფეროვანი რესურსები .მასწვლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრები ანხორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს და პროექტებს,ინტეგრირებულ გაკვეთილებს ,გარდა ამისა, სკოლაში აწყობენ სხვადასხვა თემატიკით გაერთიანებულ გამოფენებს და ღონისძიებებს,რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

გასაუბრებისას მასწავლებელმა აღნიშნეს ,რომ ახალ მასალაზე მუშაობისას გამოწვევის წინარე ცოდნის შესამოწმებლად ძირითადად გამოიყენებოდა ისეთი სახვადასხვა აქტივობები,რომლის შემდეგაც ხდება მასზე ახალი ცოდნის დაშენება .მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას და მასზე დაყრდნობთ აგებენ ახალს. თითოეული მოსწავლის მზაობის გათვალისწინებით პედაგოგები, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალურად მუშაობენ მოსწავლეებთან. რაც ინტერვიუებით დასტურდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები სწავლის სწავლას უწყობს ხელს. მასწავლებლებმა გასაუბრებისას დაადასტურეს კომპლექსური დავალებების განხორციელება და აქვე აღნიშიშნეს თითოეულ კომპლექსურ დავალების დროს როგორ განვითარდა მეტაკოგნიტური უნარები.გამომდინარე აქედან შეიძლება დავასკვნათ რომ ,მასწავლებლები იაზრებენ სასწავლო პროცესში ცოდნის კეთებით სწავლებით მნიშვნელობას ,ამისათვის იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს და სტრატეგიებს . აქვთ მზაობა ამ მიმართულებით მუშაობის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სხვადასხვა საგანში წარმდგენილი კურიკულუმი არის დადასტურება იმისა, რომ საგანების სწავლებისას მასწავლებლები ორიენტირებული არიან ცოდნის სამივე კატეგორიაზე, სადაც მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას .კომპლექსური დავალებების განხორციელებას პრატქიკაში ადასტურებენ მასწავლებელები და დეტალურად აღწერენ დავალებაზე მუშაობის პროცესს,რომელიც ცოდნის სამ კატეგორიაზეა ორიენტირებული.სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესში უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

როგორც სკოლის ავტორიზაციის თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ სკოლას აქვს გამოცდილება ინტეგრირებული სწავლების. ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთ დაკავშირება იკვეთება ყველა საგანში. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ეხება

კონკრეტულ ქვეცნებას, რომელიც უკავშირდება სამიზნე ცნებებს, იგივე სამიზნე ცნებები უკავშირდება მონათესავე ბუნების სხვა საკითხს, ამ კავშირების დანახვა და გააზრება წარმოადგენს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- კომპლექსური დავალებები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**
2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**
3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**
4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**
5. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**
6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო**

აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

საგნობრივ კურიკულუმებზე, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტზე, კათედრის წევრებთან კომპლექსური დავალებების შესახებ გასაუბრების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალებები კავშირშია მოსწავლეთათვის ნაცნობ კონტექსტ-მაგალითთან, აგებულია ამ სიტუაციის, მისი დეტალების, ემოციების გათვალისწინებით, ხოლო კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები მჭიდროდ უკავშირდება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. ეს კრიტერიუმები ნაბიჯებად მუშავდება გაკვეთილებზე და ხელს უწყობს მოსწავლეს მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაში. მასწავლებლებს იდეის დონეზე გააზრებული აქვთ განმავითარებელი შეფასების ახლადშეთავაზებული (მოლოდინების) რუბრიკის არსი, თუმცა პრაქტიკულად ეს გამოცდილება არ აქვთ და მომავალში აპირებემ მის შედგენა-გააქტიურებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კერძოდ, მასწავლებლების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობ მოსწავლეებში კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სისტემური აზროვნების, სოციალურ და თანამშრომლობით უნარები განვითარებას, რაც დასტურდება სკოლაში საბაზო საფეხურზე განხორციელებული პროექტებით, რის შესახებაც ინტერვიუში დაწვრილებით ისაუბრეს მასწავლებლებმაც. როგორც მასწავლებლებმა გასაუბრებისსას აღნიშნეს მათ აქვთ პროექტებზე მუშაობის დიდი გამოცდილება და მომავალშიც აპირებენ პროექტების დაგეგმვას და გახორციელებას. მაგ STEM პროექტი- ბიოლოგიაში ,,მინი სათბური'', სასკოლო პროექტი ბუნების დაცვაზე-ქიმის მასწავლებლის მიერ ინიცირებული.

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

ინტერვიუების მიხედვით, კათედრის წევრები იდეის გაგება-გაზიარების დონეზე ხსნიან და მხარს უჭერენ შეფასების სისტემის ორიენტირებას მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე, მაგრამ ზუსტი დასკვნების გამოტანა გაძნელდა, რადგან ხელთ არ გვაქვს

შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც ამ მიდგომის დასტურად გამოდგება. რეკომენდაცია იქნება საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნებში შეფასების სისტემა, ინსტრუმენტები და პროცესი მოერგოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას.

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
მასწავლებლებთან ინტერვიუებით ირკვევა, რომ მოსწავლეები მონაწილებენ რუბრიკების შექმნაში, იცნობენ ამ რუბრიკებს, რომლებიც ხშირად გამოკრულია კლასში, შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც. თვითშეფასების დოკუმენტში ამ ინდიკატორზე ვკითხულობთ: ,,გამოწვევად რჩება. განმავითარებელი შეფასების ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობის, სამართლიანობის პრინციპების დაცვა ძირითადი აქტივობების განხორციელებისას“. ამჟამად კათედრები მუშაობენ შეფასების ახალი ინსტრუმენტების შექმნაზე, როგორც განმავითარებელი შეფასებისთვის, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისთვის, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება შეფასების ყველა პრინციპი. სკოლა წინა გამოცდილებითაც, იცავდა შეფასების პრინციპებს, ფასდებოდა მიღწევები ესგ-ს შედეგებთან მიმართებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლას ვიზიტის დროს არ გააჩნდა შეფასების ვერიფიკაციის ოფიციალურად დამტკიცებული დოკუმენტი, თუმცა სასკოლო-სასწავლო გეგმაში გაწერილია სკოლაში შეფასების სისტემის, სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ამ დოკუმენტში წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების სისტემის მიზანი, ამოცანები, მოსწავლეთა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სისტემა, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასება დონეებისა და ქულების მიხედვით, ასევე ოფიციალური სტატუსის ქულები, საგნის სემესტრული ქულის შემადგენელი კომპონენტები,საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებების კომპონენტები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის აღიარება. ეს პროცესები მიმართულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვისაკენ და, მეორე მხრივ, უზრუნველყოფილია სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგი. სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის თანახმად, დოკუმენტის შემუშავება უნდა მოხდეს დეკემბრის ბოლომდე (29.12.2023). შესაბამისად **ინდიკატორი მეტწილადაა დაკმაყოფილებული.**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.
სკოლის თვითშეფასების დოკუმენტით, კათედრის წევრების ინტერვიუებით გაირკვა, რომ მათ უზრუნველყოფილი აქვთ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და არანაკლებ სამწლიანი ვადით შენახვის წესები., **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**
2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**
3. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**
4. **უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რაც დადასტურდა პედაგოგებთან გასაუბრების დროსაც. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი გარემოს შექმნაზე და ორიენტირებულნი არიან გამოცდილების გაზიარებასა თუ დახმარებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, ამის ერთ-ერთ საშუალებად სკოლას მიაჩნია მოსწავლის ინტერესების შესაბამისი კომპლექსური დავალებების შერჩევა, განხორციელებული პროექტები, რომლებიც მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება. 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა გააძლიერებს როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური მიმართულებით მუშაობას. იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად, სკოლა კონკრეტული დავალებების შესასრულებლად მოსწავლეებს სთავაზობს დიფერენცირებულ მიდგომას; კურიკულუმებში მითითებულია სასწავლო რესურსები, რომლებიც მოსწავლემ შეიძლება გამოიყენოს როგორც დამატებითი რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლა სასწავლო პროცესს წარმართავს ზრუნვასა და მხარდაჭერაზე დამყარებულ თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზე. ურთიერთანამშრომლობის კულტურის ამაღლების მიზნით მასწავლებლები გეგმავენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, გაკვეთილებს

გეგმავენ ერთობლივად სამუშაო შეხვედრებზე. მასწავლებლები კათედრებზე და კათედრებს შორის გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

მასწავლბლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები საჭიროების შემთხვევაში საერთო მსჯელობითა და არსებული გამოცდილებების გაზიარების გზით ზრუნავენ კონკრეტული კლასის ან კონკრეტულ მოსწავლეთა დამოკიდებულებებისა და ღირებულებების ფორმირებისათვის. ის გარემოება, რომ მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობენ, ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, ერთად მუშაობენ საგნობრივ კურიკულუმებზე, ამასთანავე, სკოლა არაფორმალური განათლების კუთხითაც აქტიურია, დადებითად აისახება სასკოლო კლიმატზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მტკიცებულებები:

- ❖ საგნობრივი კურიკულუმები
- ❖ სხვადასხვა პროექტი არაფორმალური განათლების მიმართულებით
- ❖ დამრიგებლის პროგრამა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია, 2023 – 2024 სასწავლო წელს მონიტორინგისა და შეფასების პროცესი განხორციელდება სრულად ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად. არსებული გამოცდილებით საგნის მასწავლებლები ერთობლივად განიხილავენ მოსწავლეთა შედეგებს, ახდენენ გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შესაბამისად,

შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობს გამოცდილება და მზაობა განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად მონიტორინგისა და შეფასების განხორციელებისა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

წარმოდგენილ დოკუმენტებში წარმოდგენილია, რომ მონიტორინგის პროცესი ყურადღებას ამახვილებს მიმდინარეობს თუ არა დაგეგმილის შესაბამისად პროცესები და შეფასება კი არკვევს რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს მასწავლებლის საქმიანობაზე, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. პედაგოგები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს, რეკომენდაციებს. ამ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. საფეხურებისა და კლასების მიხედვით, რითაც დასტურდება, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. სკოლაში დამკვიდრებული ამგვარი მიდგომა დასტურდება კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;

მონიტორინგი და შეფასება, რომელიც სკოლაში ხორციელდება ადგენს, როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ასევე მასწავლებლის პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას. შედეგებს და მონაცემებს აანალიზებენ კათედრის სხდომებზე, მსჯელობენ პრობლემების წარმოქმნის მიზეზებზე, საუბრობენ და თანხმდებიან პრობლების გადაჭრის გზებსა და მეთოდებზე, რაც იმას ადასტურებს, რომ მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზებს და საშუალებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მტკიცებულებები:

- კურიკულუმი
- კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია,
- გაკვეთილზე დაკვირვებისა და უკუკავშირის დოკუმენტეცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**
2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**
3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**
4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტი ცხადჰყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის აქტიურ ჩართულობას მონაცემთა შეგროვების პროცესში, რაც თავისთავად უზრუნველყოფს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი წყაროების არსებობას. კომპლექსური დავალების განვითარების პროცესში მასწავლებლის მიერ გაკეთებული მონიშვნები მოსწავლის პროგრესის აღსანუსხად მონაცემთა შეგროვების ერთ-ერთი წყაროა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

ინტერვიუს მიმდინარეობისას გამოიკვეთა მასწავლებელთა მიერ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების დადებითი ტენდენციები, რადგან მათ პროგრესზე მონაცემთა შეგროვების პროცესი მიმდინარეობს არა ცალმხრივად, მხოლოდ საკითხის დასწავლის კვალდაკვალ, არამედ გათვალისწინებულია მრავალი სხვა კონტექსტი, როგორებიცაა : კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. სკოლა გამოკვეთს კომპლექსური ბუნების დავალებას როგორც საშუალებას, მოსწავლის სხვადასხვა ტიპის აქტივობაში ჩართულობის შესაფასებლად მისი ინდივიდუალური კოგნიტური უნარებისა თუ ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

იმის გათვალისწინებით, რომ შეფასება ეს არის მონაცემთა მიზნობრივი შეგროვებისა და ანალიზის პროცესი, სკოლა მონაცემთა შეგროვების პროცესს ახორციელებს სკოლის მიზნისა და საჭიროების იდენტიფიცირებით. სკოლა მოსწავლის შეფასების უპირველეს მეთოდად სახავს მასწავლებელს მის დაკვირვებასა და ჩანაწერებს რომელსაც ის მაგალითად კომპლექსური დავალების მიმდინარეობისას განმავლობაში აკეთებს, მონაცემთა შეგროვების მიზანს ემსახურება შემაჯამებელი თუ დიაგნოსტიკური წერები, ხოლო მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებულია შესაბამისი შეფასების რუბრიკები. კომპლექსური დავალება რომელიც მოსწავლეს

აძლევს თვითშეფასების შესაძლებლობას განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე გამოყენებულია ერთ-ერთ მეთოდად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.
საბაზო საფეხურზე განსაკუთრებით თვალსაჩინოა მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, რომელიც განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით, მასწავლებელთა დამოკიდებულებები მოსწავლეთა დინამიკის შეფასების პროცესში ითვალისწინებს სხვადასხვა შესაძლო ფაქტორთა მთელ რიგს იქნება ეს მეზო, ეგზო, მაკრო, თუ სხვა, რაც დაემხარება პედაგოგებს თავი აარიდონ ნაჩქარევ დასკვნებს და სიღრმისეულად შეაფასონ მოსწავლის მზაობისა თუ პირიქით წარუმატებელი მცდელობის წინაპირობები. ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა აღნიშნეს რომ შეფასებას არ ახდენენ ცალმხრიბად არამედ ცდილობენ მხედველობაში მიიღონ ყველა ის ფაქტორი რომელიც შესაძლოა მოსწავლეს ხელს უწყობდეს ან პირიქით ხელს უშლიდეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

❖ შეფასების რუბრიკები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

საბაზო საფეხური- სახელმწიფო ენა

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

მასწავლებელთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ისინი ითვალისწინებენ მიღწევების ანალიზს, თვითშეფასების საფუძველზე ქმნიან გადამუშავებულ კურიკულუმებს, ამის დასტურია კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს;
წარმოდგენილ დოკუმენტებში ვკითხულობთ და მასწავლებელთა გასაუბრებით ვრწმუნდებით, რომ გადამუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მიღებული გამოცდილება (რასაც მოწმობს კათედრის სხდომის ოქმი), რომლის საფუძველზე შემუშავდება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☐ შეესაბამება X მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება X მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**
2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**
3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**
4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების,** სკოლის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპების ნაწილის, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, საგნობრივი კათედრების ფუნქციებისა და მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით, საშუალო საფეხურის კურიკულუმის შემუშავების ეტაპი თანამშრომლობითი პროცესია, რომელშიც ჩართულები არიან სკოლის მასწავლებლები, გათვალისწინებულია მშობელთა საერთო კრებებზე მშობლების მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები. სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობისა და მოსწავლეების ინიციატივები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

საშუალო საფეხურის კურიკულუმში სასკოლო, საკლასო და კლასგარეშე აქტივობებით განსაზღვრულ სხვადასხვა საგანამათლებლო პროექტში გათვალისწინებულია მასწავლებლების მიერ დადგენილი მოსწავლეთა საჭირობები, მოსწვალეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები და მოსწავლეთა ინეტერესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კათედრისა და პედაგოგიური საბჭოს ოქმების შინაარსის მიხედვით საშუალო საფეხურის კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულები არიან საფეხურის მასწავლებლები, საფეხურის მოსწავლეების მშობლები და მოსწავლები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

საშუალო საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრული საკლასო, სასკოლო და კლასგარეშე აქტივებების შესახებ მოსწვალეების მშობლებს ინფორმაცია მიეწოდებათ კლასის მშობელთან საერთო კრებებსა თუ სოციალურ ქსელში არსებული დახურული ჯგუფების საშუალებით. სკოლაში ვიზიტის პერიოდში, საგნის მასწავლებლები, მათ მიერ დაგეგმილი მიზნობრივი აქტივობების მოსწავლეების მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთ მექნიზმად სადამრიგებლო პროგრამით გაწერილ დამრიგებლის ფუნქციას ასახელებენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კათედრების ფუნქციები;
- საგნობრივი კათედრის სხდომის ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა დაგანვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
სკოლის წარმოდგენილ დოკუმენტში „ბრძანება N2-77 კურიკულუმის შემუშავებისა განვითარების მეთოდოლოგის დამტკიცება“ გაწერილი ვალდებულება თუ რა ფორმით აღიწერება მოსწავლის განვითარების „გზა“; მასწავლებლების პრაქტიკული საქმიანობა; როგორ განისაზღვრება დიზაინი ინდივიდუალური და ალტერნატიული სასწავლო გეგმისთვის და განათლების მეორე შესაძლებლობის პროგრამისთვის, რომელი საგნები ისწავლება ამა თუ იმ საფეხურზე და რამდენი საათი ეთმობა თითოეულ მათგანს, რა გრძელვადიან მიზნებს ემსახურება მათი სწავლა-სწავლება, რა სასკოლო პროექტები ხორციელდება, რომელ პრიორიტეტულ თემებს შეეხება სასკოლო პროექტები; რა კავშირშია ისინი ფორმალურ და არაფორმალურ განათლებასთან, რა დამატებით საგანმანათლებლო

სერვისებს (კლუბები, წრეები და სხვა) სთავაზობს სკოლა მოსწავლეებს, სწავლა-სწავლების რა მეთოდები და სტრატეგიები გამოიყენება დასახული მიზნების მისაღწევად, მაგალითად, საგანთა შორის ინტეგრირება, ტექნოლოგიების გამოყენება, კომპლექსური დავალება (როგორც სწავლების მეთოდი) და სხვა, რაც ადასტურებ იმ აზრს , რომ შმუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. იგივე დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც.სკოლას მიეცა რჩევა ინგლისურ ენაში საშუალო საფეხურზე კურიკულუმების შემუშავების. **ინდიკატორი დაკმაყოფილებელია.**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირით წარმოდგენილი სამიზნე ცნებები და შედეგები, ცნებები, ჩანს ამ ცნებების იერარქიული კავშირში ერთმანთთან. კურიკულუმებში წარმოდგენილია ქვესაკითხები, ქვეცნებები და სამიზნე ცნებები, მოცემულია თემის ფარგლებში საკითხი/საკითხთა კლასტერი, რომლებიც, ამუშავებენ სამიზნე ცნებებს. ვალდებულება სასწავლო პროცესის წარმართვა წარმოდგენილი კურიკულუების საფუძველზე უზრუნველყოფს სტანდარტით განსაზღრულ შედეგებზე გასვლას. ეს პროცესები კი ხელს უწყობს მოსწავლეებში ისეთი ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა: კრიტიკული, შემოქმედებიითი, კომუნიკაციის, თანამშრომლობით, მოქალაქეობრივი და ნებელობის უნარების განვითარებას. (გლობალური ფუნქციური უნარები-6 უნარი). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს და სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში გაწერილია, რომ რომ სასწავლო პროცესი სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენებით. სწავლა-სწავლების დროს ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ ფიზიკურ თუ ფსიქიკურ მდგომარეობას, მათ უნარებს, შესაძლებლობებს, ემოციებს, ინტერესებს, საჭიროებებს და სწავლის სტილს. მოსწავლეებს სთავაზობენ კომპლექსურ დავალებებს, სხვადასხვა სირთულის აქტივობებს, ადაპტირებული დავალებებს, სხვადასხვა პროექტებს და მათ სურვილისამებრ ეძლევა არჩევანის გაკეთების საშუალება, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია და კათედრის წევრებთან საუბრით დასტურდება, რომ სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. წარმოდგენილია შესაბამისად განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების შესაბამისი რუბრიკები. შეფასება მიმდინარეობს გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული ამ რუბრიკებზე დაფუძნებით. პედაგოგები

გამოხატავენ მზაობას მომავალ სასწავლო წლებში გამოიყენონ შეფასების ანალოგიური ფორმები, მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.
სკოლის წარმოდგენილ დოკუმენტში „ბრძანება N2-77 კურიკულუმის შემუშავებისა განვითარების მეთოდოლოგის დამტკიცება“ ვკითხულობთ, რომ კურიკულუმის შემუშავებას, დაგეგმვას და დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა, მათი შედეგები, მასწავლებელთა, მშობელთა და დირექციის ჩართულობა. კურიკულუმების შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ ამ ანალიზის დასკვნებს, მიგნებებს. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას მომავალში ანალოგიურად წარიმართოს ეს პროცესები. იგივე დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- კომპლექსური დავალებები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**
2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**
3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**
4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**
5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით დგინდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს კომპლექსური დავალების მნიშვნელობა, როგორც მთავარი ინსტრუმენტისა, შექმნას სკოლაში პოზიტიური გარემო. კომპლექსური დავალების პირობები საშუალო საფეხურზე აჩვენებს თანამშრომლობითი სწავლის ხელშეწყობის წინაპირობას და შესაბამისად ამაღლებს მოტივაციას მოსწავლეებში. ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეები საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე აქტიურად ერთვებიან პროცესებში, რადგან მიზნობრივი ქმედებების საჭიროება, რაც აშკარად იკვეთება კომპლექსური დავალებების პირობებში, მოითხოვს მათგან საჭიროებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებას და ამ მიზნისკენ კონკრეტული ნაბიჯების გადაგმას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

საშუალო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში იკვეთება თემატური ბლოკების დაგეგმარების ფაქტები, რომლებიც ფარავს ესგ-თი გათვალისწინებულ საკითხებს, მაშასადამე სკოლის მიერ თემატური ბლოკების დაგეგმარება და კომპლექსური დავალებების სათანადოდ განხორციელება მოიაზრებს წინარე გამოცდილების გათვალისწინებას. გარდა ამისა დავალების პირობაში შემოთავაზებულია რელევანტური, მოსწავლისთვის გასაგები კონტექსტი, რაც ეხმარება თემის საშუალებით უნარების ჩამოყალიბებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილია განხორციელებული კომპლექსური დავალებაც, იმის საილუსტრაციოდ, რომ ცოდნის კონსტრუიერების პრაქტიკა არსებობს, კერძოდ ნაჩვენებია კეთებით სწავლების ეტაპები: ეტაპი I. .მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენი დავალება? რა ცოდნა-გამოცდილება

გამოგადგებათ? რისი შესწავლა დაგჭირდებათ? რა გაგიადვილდებათ? რა გაგიძნელდებათ? რაში დაგჭირდებათ დახმარება?აღნიშნული კითხვებით პროცესების წარმართვა უშუალოდ კომპლექსური დავალების გაცნობის პროცესში, მოსწავლეს ეხმარება თვითრეფლექსიაში და საჭიროებების იდენტიფიცირებაში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა გამოკვეთეს ტენდენცია, რომ საშუალებას აძლევენ მოსწავლეებს გაიაზრონ საკუთარი სისუსტეები და გასააზრებლად იყენებენ დამაზუსტებელ შეკითხვებსა და კომენტარებს. ასევე გამოთქვეს განხორციელებული პრაქტიკა და მზაობა, გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური უნარები, მზაობა და სურვილები, რათა წაახალისონ მათი ჩართულობა პროცესში მაქსიმალურად. კომპლექსური დავალების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები, გამოკვეთილი მისაღწევი მიზანი ანუ პროდუქტი და ეტაპებად დროში გაწერილი აქტივობები უბიძგებს მოსწავლეს დასახოს მისი შესრულების სტრატეგიები და თავად შეაფასოს იგი, ან მიიღოს უკუკავშირი მოსწავლის ან თანატოლისგან. სკოლა ავტონომიურობაზე აქცენტს თავად სკოლის მისიაში შემდეგნაირად აცხადებს: *„ აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური ღირებულებების შესაქმნელად“.* **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი სრულიად ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული), რათა მოსწავლეებმა მიიღონ ისეთი სტატიკური ხასიათის ცოდნა, რაც მოიაზრებს ფაქტების, თეორიებისა და წესების შეწავლასა და სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნის რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გადაწყვიტონ ესა თუ ის საკითხი. ასევე როგორც მასწავლებლებმა საუბრისას აღნიშნეს ისინი დაგეგმავენ უფრო მეტ ინტეგრირებულ გაკვეთილს, რაც ხელს უწყობს ცოდნის ტრანსფერს. სკოლაში ხორციელდება სასკოლო პროექტები, რაც საშუალებას იძლევა მოსწავლეები სასწავლო პროცესში ცოდნის სამივე კატეგორიაზე გავიდნენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები უზრუნველყოფს ცოდნათა ორგანიზების და ურთიერთდაკავშირების ფაქტს. მნიშვნელოვანია პედაგოგმა მოსწავლეს შესთავაზოს ის თემატური კონტექსტი , რომელიც ინტერესს

იწვევს მათში. საშუალო საფეხურზე, სკოლის მიერ შეთავაზებული კომპლექსური დავალებები ერგება და შესაბამისია ასაკობრივი კატეგორიისთვის და აქცენტს აკეთებს მოზარდებისთვის საინტერესო და საჭირო საკითხებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

მტკიცებულებები:

- ❖ კომპლექსური დავავლებები
- ❖ შემაჯამებელი დავალებები
- ❖ შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთა დაკავშირებულმონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

- მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების დაუფლებას, საგნობრივი საკითხების დამუშავებას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, ასევე, რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია. სასწავლო თემები შერჩეულია ეროვნულ სასწავლო გეგმით რეკომენდირებული თემატური ჩარჩოს გათვალისწინებით, თემიდან გამომდინარე, განსაზღვრულია კომპლექსურ დავალებები თითოეული კლასისთვის. სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

შერჩეული კომპლექსური დავალებები იძლევა მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-ემოციური განვითარების საშუალებას, კერძოდ, ავითარებს მოსწავლეებში კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას, საკუთარი და სხვათა გრძნობების გაგების, სათანადო ქცევის შერჩევის უნარს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, რომლის საშუალებითაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციული ცოდნიდან პირობისულ ცოდნამდე. საშუალო საფეხურზე სახელმწიფო ენის კათედრის მიერ დაგეგმილ სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზნის როლს, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუ მასწავლებლებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები და სქემები არის ვალიდური, რადგან თითოეული რუბრიკა შედგენილია საგნობრივ სტანდარტებთან და მიზნებთან შესაბამისად, სანდოო, რადგან წარმოდგენილია მკაფიოდ შეკითხვები, გასაზომი კრიტერიუმები, სამართლიანი, რადგან შეფასება არ არის დამოკიდებული შემფასებლის პიროვნულ დამოკიდებულებებზე, არამედ დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების სისტემაზე, შეუძლებელია ერთი და იგივე ნაშრომი სხვადასხვაგვარად შეფასდეს და გამჭირვალე. რადგან მოსწავლეებს წინასწარ იციან და ერთობლივადაც ადგენენ ამ რუბრიკებს. იგივეს ადასტურებს კათედრის წევრები გასაუბრების დროს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლას ვიზიტის დროს არ გააჩნდა შეფასების ვერიფიკაციის ოფიციალურად დამტკიცებული დოკუმენტი არც ერთ საგანში, თუმცა სასკოლო-სასწავლო გეგმაში გაწერილია სკოლაში შეფასების სისტემის, სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ამ დოკუმენტში წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების სისტემის მიზანი, ამოცანები, მოსწავლეთა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სისტემა, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასება დონეებისა და ქულების მიხედვით, ასევე ოფიციალური სტატუსის ქულები, საგნის სემესტრული ქულის შემადგენელი კომპონენტები,საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებების კომპონენტები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის აღიარება. ეს პროცესები მიმართულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვისაკენ და, მეორე მხრივ, უზრუნველყოფილია სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგი. სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის თანახმად, დოკუმენტის შემუშავება უნდა მოხდეს 2023 წლის დეკემბრის ბოლომდე (29.12.2023). აქედან გამომდინარე, **ინდიკატორი მეტწილადაა დაკმაყოფილებული.**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით;

კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, არსებული ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, ასევე მოსწავლის პირად საქმეში. ინფორმაციის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მტკიცებულებები:
კომპლექსური დავავლებები
შეფასების რუბრიკები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლაში არის კეთილგანწყობილი გარემო. ერთმანეთის პატივისცემაზე, მზრუნველობაზე და თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობა. სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების უფლებების დაცვა. სასკოლო საზოგადოების

წევრების თითოეული წევრის ფუნქცია გაწერილია ხელშეკრულებებში, ვალდებულებების, უფლება-მოვალეობის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს პასუხიმგებლობის განაწილებას. ყველაფერი კი განაპირობებს სკოლაში მიუკერძოებელი და სამართლიანი ატმოსფეროს შექმნას. ერთობლივად იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა პროექტები და აქტივობები, რომლებშიც საკოლო საზოგადოების თითოეული წევრი თავისი ნების, უნარების, სურვილების, ინტერესების და შესაძლებლობის გათვალისწინებით არიან ჩართულნი. ყოველივე ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო; იგივე დასტურდება კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გაწერილია და გასაუბრების დროს კათედრების წევრებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ თითოეულ მოსწავლის ინდივიდუალურ და ფიზიკურ შესაძლებლობებს, მათ ინტერესებს, უნარებს, შესაძლებლობებს, საჭიროებებს, მიდრეკილებებს, სწავლის სტილს, ფსიქიკური მახასიათებლებსაც კი. ამასთან ერთად უდიდეს როლს ანიჭებენ აგრეთვე პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას სასწავლო პროცესში, რაც განაპირობებს მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას სხვადასხვა აქტივობებში, ოლიმპიადებში, კონფერენციებში, პროექტებშ. მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. ეს კი მიუთითებს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულად მიმდინარეობს; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლაში დამკვიდრებულია სასკოლო საზოგადოებას შორის თანამშრომლობითი კულტურა. ისინი გაერთიანებული არიან საერთო ღირებულებების და ინტერესების მოტივით, რაც განაპირობებს სკოლაში თანამშრომლობითი პრინციპების დაცვით სასწავლო გარემოს შექმნას და წარმართვას. დოკუმენტალურადაც გაწერილია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი

უფლებების და მოვალეობების დაცვა. ასეთი მიდგომები განაპირობებს რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. კათედრის წევრებმაც გასაუბრებისას დაადასტურეს, ანალოგიური მიდგომები სასწავლო პროცესში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე;

სკოლაში დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა, რწმენების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების გაზიარებული სისტემა, ნდობაზე, ერთმანეთისპატივისცემაზე დაფუძნებული, მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო აყალიბებს წესებს და ქმნის ისეთ ატომოსფეროს სკოლაში, რომლებიც უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატის შექმნას, როგორც სკოლის ასევე კლასის დონეზე. რაც დასტურდება კიდეც მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მტკიცებულებები:

- სადამრიგებლო პროგრამა
- მასწავლებელთა ხელშეკრულებები
- სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება და სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშიც საუბარია სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის და შეფასების პროცესებთან დაკავშირებით. ეს პროცესები შერწყმულია სასწავლო პროცესსთან და მიმდინარეობს შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად შეთანხმებული ფორმატით შმდეგი მიმართულებებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, მასწავლებლის პროფესიული განვითარება კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის. ამ პროცესის მიზანია სწავლის პროცესის ხარვეზების იდენტიფიცირება, პრობლემის წარმოშობის მიზეზების დადგენა და და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად გზების ძიება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

წარმოდგენილ დოკუმენტებში წარმოდგენილია, რომ მონიტორინგის პროცესი ყურადღებას ამახვილებს მიმდინარეობს თუ არა დაგეგმილის შესაბამისად პროცესები და შეფასება კი არკვევს რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს.

სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს მასწავლებლის საქმიანობაზე, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. პედაგოგები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს, რეკომენდაციებს. ამ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. საფეხურებისა და კლასების მიხედვით, რითაც დასტურდება, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. სკოლაში დამკვიდრებული ამგვარი მიდგომა დასტურდება კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;

მონიტორინგი და შეფასება, რომელიც სკოლაში ხორციელდება ადგენს, როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ასევე მასწავლებლის პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას. შედეგებს და მონაცემებს აანალიზებენ კათედრის სხდომებზე, მსჯელობენ პრობლემების წარმოქმნის მიზეზებზე, საუბრობენ და თანხმდებიან პრობლების გადაჭრის გზებსა და მეთოდებზე, რაც იმას ადასტურებს, რომ მონიტორი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზებს და საშუალებას. იგივე აზრი დაადასტურდა კათედრის წევრების მიერ გასაუბრების დროსაც.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მტკიცებულებები:

- კურიკულუმი
- კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია,
- გაკვეთილზე დაკვირვებისა და უკუკავშირის დოკუმენტეცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სკოლაში მიმდინარე შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს: გამოკითხვა, ანკეტირება, სხვადასხვა ტიპის შეფასების კითხვარი, რომლებიც გამოყენებულია მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან და მშობლებთან, სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, კომპლექსური დავალების შესრულების პროცესზე დაკვირვებას, პროეტების მონაწილეობის პროცესზე დაკვირვებას, მასწავლებლის პორტფოლიოს, მოსწავლეთა ნაშრომებს, რაც წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა და კათედრების წევრებთან გასაუბრებითაც დასტურდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

წარმოდგენილ დოკუმენტებში გაწერილია რომ შეფასება ხორციელდება მიმართულებით თუ როგორ არის ჩართული მოსწავლე სწავლების პროცესში, სხვადასხვა აქტივობების განხორციელების დროს, პრეზენტაციის დროს, კომპლექსური დავალებების შესრულების

პროცესში, რადგან ამ დავალებების შესრულება მოსწავლეს აიძულებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებას. კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც იგივე აზრი დადასტურდა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

კათედრის წევრებთან საუბრისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ მონაცემთა შეგროვების შემდეგ მეთოდებს: დაკვირვება, შეფასებების ანალიზი, აღრიცხვის ფურცელი, შეკითხვები, ქვიზები, ინტერვიუ, გამოკითხვა, თვითშეფასება, ტესტები, მოსწავლის ნამუშევრების შეფასება. იგივე მეთოდები იკითხება სკოლის მიერ წარდმოდგენილ მასალებშიც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით;

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა და კათედრის წევრებთან გასაუბრებიდანაც დასტურდება, რომ შეფასება ხორციელდება კოგნიტური და მეტაკოგნიტური ფაქტორების, შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ფაქტორების, მოსწავლეთა განვითარების, პირადი და სოციალური ფაქტორების ინდივიდუალური განსხვავებების ფაქტორების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების რუბრიკები
- ანკეტა, გამოკითხვა
- თვითშეფასება
- აღრიცხვის ფურცელი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისადა შეფასების შედეგებს.

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

როგორც სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან და მასწავლებელებთან ინტერვიუდან ირკვევა კურიკულუმი გადაფასდება საგნობრივ კათედრებზე, საჭიროებიდან გამომდინარე, შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი; კათედრის სამუშაო შეხვედრებზე, მასწავლებლები განიხილავენ თემატურ გეგმებს, შეფასების კრიტერიუმებს, ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას და გადამუშავების საფუძველზე შეეცდებიან შექმნან საუკეთესო მოდელები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

წარმოდგენილი კურიკულუმებიდან შეიძლება დავასკვნათ ,რომ ის შექმნილია მასწავლებლის წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით რაც დაადასტურეს გასაუბრებისას მასწავლებლებმაც და აღნიშნეს,რომ მუშაობენ კურიკულუმების დახვეწაზე,ითვალისწინებენ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და სტანდარში შესულ ცვლილებებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....

.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

17.11.2023
თარიღი